



№12/1277-14



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

17 დეკემბერი 2014 წელი
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ**

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ რობერტ გრიგალაშვილის საჩივარი, საგამოძიებო მოქმედების - დ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის და შპს „ი.ი.“-ის ოფისის ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე შუამდგომლობის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლარისა ლიპარტელიანის 2014 წლის 13 დეკემბრის განჩინებაზე და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი სისხლის სამართლის #XXXXXXXXXXXX საქმე, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმის მასალების მიხედვით, შპს „ი.ი.“ რეგისტრირებულია 1999 წლის 05 ივლისს და ორგანიზაციის იურიდიული მისამართია თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ს.ს ქუჩა #X, ხოლო მისი ერთპიროვნული დამფუძნებელი (X%-იანი წილით) და დირექტორი არის დ.კ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX), რომელიც სამოქალაქო რეესტრში არსებული მონაცემების თანახმად რეგისტრირებულია იმავე მისამართზე. აღნიშნული საცხოვრებელი ბინა კი 2012 წლიდან წარმოადგენს დ.კ.-ს შვილის მ.კ.-ს საკუთრებას ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. 2014 წლის ოქტომბერში გამოცხადებულ ერთერთ გამართივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად შპს „ი.ი.“ -მა, სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტსა და შპს „ი.ი.“ -ს შორის 2013 წლის 16 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #XX/XX და XXXX წლის XX სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი ღირებულებით X XXX XXX,XX ლარი. მითითებული ხელშეკრულების საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოში გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ასეთი ხელშეკრულება მხარეთა შორის დადებული არ ყოფილა. აღნიშნული დოკუმენტები შპს „ი.ი.“-ის



დირექტორ დ.კ.-ს სახელით იქნა ატვირთული XX.XX.XX.XX IP მისამართიდან, თუმცა შპს „კ.ო.-დან“ (რომელსაც ეკუთვნის ხსენებული IP მისამართი) ინფორმაციის გამოთხოვა სამართლებრივად შეუძლებელია საქმეზე მოცემული კვალიფიკაციით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით) გამოძიების მიმდინარეობის გამო. შესაბამისად, იმისათვის, რომ დაძებნილი და ამოღებული იქნას საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და დოკუმენტები, როგორცაა საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტსა და შპს „ი.ჯ“-ს შორის გაფორმებული ყალბი ხელშეკრულების დედანი, ასევე იმ ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი საგნები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო ხსენებული ხელშეკრულების გასაყალბებლად და მისი ელექტრონულ ტენდერზე ასატვირთად, პროკურორმა რობერტ გრიგალაშვილმა 2014 წლის 13 დეკემბერს მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა დ.კ.-ს საცხოვრებელ ბინაში (იგივე შპს „ი.ჯ“-ის იურიდიულ მისამართზე) ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლარისა ლიპარტელიანის 2014 წლის 13 დეკემბრის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტსა და შპს „ი.ჯ“-ს შორის 2013 წლის 16 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #XX/XX ხელშეკრულების და 2013 წლის 11 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტის დაძებნისა და ამოღების მიზნით თბილისში, კ. ს.-ს ქუჩა #X-ში მდებარე შპს „ი.ჯ“-ის ოფისში ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემის ნაწილში, ხოლო დ.კ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ნაწილში უარი ეთქვა პროკურორს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ცალსახად არ ირკვეოდა აღნიშნულ მისამართზე განთავსებული იყო საცხოვრებელი ბინაც და საწარმოს ოფისიც, თუ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი.

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა რობერტ გრიგალაშვილმა, რომელიც ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ნებართვის გაცემას თბილისში, კ. ს.-ს ქუჩა #X-ში მდებარე დ.კ.-ს საცხოვრებელი ბინისა და შპს „ი.ჯ“-ის ოფისში ჩხრეკის ჩასატარებლად გაყალბებული ხსენებული ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის, აგრეთვე მათ შესაქმნელად და ასატვირთად გამოყენებული კომპიუტერული საშუალების დაძებნა-ამოღების მიზნით, რაც თანმდევი მოქმედების შემდეგ (დათვალიერება, წაშლილი ფაილების აღდგენა, ტექნიკური ექსპერტიზა და სხვა) გამოძიებას მისცემს საშუალებას საქმეზე დაადგინოს ჭეშმარიტება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეზე მხოლოდ ყალბი დოკუმენტების ამოღება საფრთხეს უქმნის ისეთი მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას, რომელიც საშუალებას მისცემს დაიძებნოს და ამოღებული იქნას აღნიშნული დოკუმენტების გასაყალბებლად და ელექტრონულ ტენდერზე ასატვირთად გამოყენებული ელექტრონული ინფორმაციის მატარებელი საგანი, რაც მნიშვნელოვანია საქმისათვის. პროკურორი საჩივარში ასევე ცალსახად მიუთითებს, რომ დ.კ.-ს საცხოვრებელი სახლი და შპს „ი.ჯ“-ის (რომლის ერთადერთი დამფუძნებელი და დირექტორი არის თავად დ.კ.) იურიდიული ადგილსამყოფელი მდებარეობს ერთი და იმავე მისამართზე, თბილისში, კ. ს.-ს ქუჩა #X-ში და ერთი და იგივე ფართზე, რის გამოც „პირობითად ბრალდება ვერ გამიჯნავს საცხოვრებელ ფართს გარკვეულ ნაწილებად ჩხრეკის ჩატარების შემთხვევაში“.

საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი მასალები იძლევა საჩივარში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა.



შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიამ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივარი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში ჩხრეკა ტარდება იმ მიზნით, რომ აღმოჩენილ და ამოღებულ იქნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ამოსაღებად ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ის ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან და მის აღმოსაჩენად საჭიროა ძებნა. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლით დადგენილია, რომ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგამოძიებო მოქმედება ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის გამო.

ამდენად, საგამოძიებო მოქმედების, ამ შემთხვევაში ჩხრეკის ჩასატარებლად, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი ინახება გარკვეულ ადგილზე, გარკვეულ პირთან. საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დასაბუთებული ვარაუდი არის საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა, რომ გასაჩხრეკი (და ამოსაღები) საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი შეიცავს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა. აღნიშნული უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფლების შეზღუდვა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობის, უწყესრიგობის თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

ყოველივე ზემოთ მითითებულის გათვალისწინებით საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაცული არის ყველას უფლება, რომ პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას და მის საცხოვრებელს. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა უშუალოდ შედის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფარგლებში და დაცულია ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით, ამავე დროს კანონის მოთხოვნათა დაცვით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას მეორეს მხრივ დასაშვებია გარკვეული შეზღუდვები და პირის პირად ცხოვრებაში ჩარევა (მათ შორის პირის საცხოვრებელი სახლის (ადგილის) ჩხრეკა).



მოცემულ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე უდაოდ დასტურდება მითითებულ მისამართზე (მდებარე თ.-ში, კ. ს.-ს ქუჩა #X-ში) დ.კ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) ცხოვრების ფაქტი. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი, სამოქალაქო რეესტრში არსებული ჩანაწერებით, რომლის სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს, რაც ფაქტობრივად ადასტურებს დ.კ.-ს საცხოვრებელი ადგილის მონაცემებს. საქმის მასალებით ასევე უდავოდ დასტურდება, რომ შპს „ი.ი.“-ის იურიდიული მისამართია ასევე თ., კ. ს.-ს ქუჩა #X, რაც მითითებულია, როგორც მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ამონაწერში, ასევე დ.კ.-ს სახელით ელექტრონულად წარდგენილ ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებშიც. საჩივარში ასევე ცალსახადაა აღნიშნული და დგინდება, რომ შპს „ი.ი.“ დარეგისტრირებული იქნა დ.კ.-ს საცხოვრებელი სახლის მისამართზე და ამ შემთხვევაში, ორგანიზაციის იურიდიული მისამართი და შესაბამისად, სამართლებრივად დაკავებული ფართი, ასევე ორგანიზაციის დირექტორის დ.კ.-ს საცხოვრებელი და რეგისტრაციის ადგილი, მდებარეობს ერთი და იმავე მისამართზე განთავსებულ ერთიდაგივე ფართზე. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ფაქტობრივად ერთი და იგივე ფართიდან შეუძლებელია ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ფიზიკური პირის საცხოვრებელი ფართი და ორგანიზაციის ფართი და მათი გარკვეულ ნაწილებად დაყოფა ჩხრეკის წარმოების დროს შეუძლებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვინაიდან გამოძიება მოცემულ საქმეზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოცემული კვალიფიკაციის გამო სამართლებრივად არ არსებობს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ინფორმაციის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გამოთხოვის შესაძლებლობა, ხოლო კონკრეტული დოკუმენტების (საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტსა და შპს „ი.ი.“-ს შორის 2013 წლის 16 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #XX/XX ხელშეკრულების და 2013 წლის 11 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტის) და მათ შესაქმნელად და ელექტრონულად ასატვირთად გამოყენებული საგნების (რომლებიც საქმისათვის მნიშვნელოვანია) მოპოვება კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელია შპს „ი.ი.“-ის ოფისისა (იურიდიულ მისამართზე) და დ.კ.-ს საცხოვრებელ მისამართზე (რომლებიც განთავსებულია ერთი და იგივე ადგილზე) ჩხრეკის ჩატარების გარეშე. მითუმეტეს, რომ ამჟამად აღნიშნული საცხოვრებელი სახლი წარმოადგენს დ.კ.-ს შვილის მ.კ.-ს საკუთრებას და მხოლოდ ორგანიზაციის იურიდიულ მისამართზე ჩხრეკის ჩატარება ამ შემთხვევაში ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს კერძო საკუთრების დაცვას, რის გამოც საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში პირის კერძო საკუთრებაზე კონსტიტუციით გათვალისწინებული შეზღუდვის განხორციელება და მითითებულ მისამართზე ჩხრეკის ჩატარება, იმ გარემოების ფონზე, რომ მითითებული მისამართი ასევე წარმოადგენს დ.კ.-ს საცხოვრებელ ადგილს კანონის შესაბამისად დასაშვები და სამართლებრივად გამართლებულია.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განჩინების შემთხვევაში საგამოძიებელი პირს, რომელთანაც ტარდება ამოღება ან ჩხრეკა, სთავაზობს ამოსაღები საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემას. ამოსაღები ობიექტის ნებაყოფლობით გადაცემის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი ფიქსირდება ოქმში, ხოლო მის ნებაყოფლობით გადაცემაზე უარის თქმის ან მისი არასრულად გადაცემის შემთხვევაში ამოღება ხდება იძულებით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე კი ჩხრეკისას იძებნება და ამოიღება ის საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, რომელიც აღნიშნულია განჩინებაში. ასევე ამოღებულ უნდა იქნას ინფორმაციის



შემცველი ყველა სხვა ობიექტი, რომელსაც შესაძლოა მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდეს ამ საქმისათვის ან რომელიც აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულზე, აგრეთვე სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.

ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩატარება, რათა დაძებნილ და ამოღებულ იქნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი (კერძოდ, საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტსა და შპს „ი.ჯ.“-ს შორის 2013 წლის 16 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #XX/XX ხელშეკრულება, 2013 წლის 11 სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტი, აგრეთვე მათ შესაქმნელად და ასატვირთად გამოყენებული საგნები (მათ შორის კომპიუტერული ტექნიკა)), უშუალოდ არის დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეზე დასადგენ ფაქტობრივ გარემოებებთან და მტკიცებულებების მოპოვებასთან. ზემოაღნიშნული კი იძლევა საკმარის ფაქტობრივ საფუძველს საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩასატარებლად, ვინაიდან აღნიშნული პირდაპირ კავშირშია მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი საჩივარი საფუძვლიანია და კონკრეტულად, ზემოთ მითითებული ის გარემოებები, რაც განაპირობებს სასამართლოს განჩინების საფუძველზე ერთი და იმავე მისამართზე პირის საცხოვრებელი სახლისა და ორგანიზაციის ჩხრეკას არის დასაბუთებული. შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე პროკურორის მოთხოვნა არის მართლზომიერი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 98-ე, 111-112-ე, 119-120-ე, 207-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე :

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორ რობერტ გრიგალაშვილის საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლარისა ლიპარტელიანის 2014 წლის 13 დეკემბრის განჩინება, საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩასატარებლად ნებართვის გაცემაზე მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილების თაობაზე;
3. თ.-ში, კ. ს.-ს ქუჩა #X-ში მდებარე დ.კ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXX) საცხოვრებელ სახლში და შპს „ი.ჯ.“-ის იურიდიულ მისამართზე იგივე, თ.-ში, კ. ს.-ს ქუჩა #X-ში მდებარე შპს „ი.ჯ.“-ის ოფისში ჩატარდეს ჩხრეკა, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთის, დოკუმენტის და ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის (საქართველოს შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტსა და შპს „ი.ჯ.“-ს შორის 2013 წლის 16 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #XX/XX ხელშეკრულების, 2013 წლის 11



სექტემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტის და მათ შესაქმნელად და ელექტრონულად ასატვირთად გამოყენებული საგნების, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის), აღმოჩენისა და ამოღების მიზნით;

4. საგამოძიებო მოქმედების - ჩხრეკის ჩატარების ვადა განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღით, ხოლო თუ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება არ დაიწყება 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, ჩხრეკის ჩატარების თაობაზე გამოტანილი განჩინება ჩაითვალოს ძალადაკარგულად;
5. განჩინების შესრულება (ჩხრეკის ჩატარება) დაევალოს საქართველოს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის გამომძიებლებს;
6. საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელ პირს ან ორგანოს უფლება აქვს წინააღმდეგობის გაწევისას გამოიყენოს იძულების პროპორციული ზომა;
7. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირობებსა და ორგანოებს;
8. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე

გიორგი მიროტაძე